ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის

ქართული ენა და ლიტერატურა

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - საგნობრივი ცოდნა და აკადემიური უნარები.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 53.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით, სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.
- თუ პასუხის გაცემისას დაარღვევთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, დაგაკლდებათ ქულა.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

შემდეგ გვერდზე გადასასვლელად და უკან დასაბრუნებლად
შეგიძლიათ გამოიყენოთ კლავიატურაზე არსებული ღილაკები

საგნობრივი ცოდნა

(1) **1. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ზმნას *<u>არ შეეწყობა</u>* ირიბი ობიექტური პირი, თუმცა აისახება მისი პირის ნიშანი?**

ა) გასდევს

ბ) გასტანს

გ) გასვამს

დ) გასვრის

(1) **2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ზმნა <u>არ დაირთავს</u> ზმნისწინს?**

ა) ქრის

ბ) ცოცხლობს

გ) ადგენს

დ) აფერადებს

(1) **3. სახელმძღვანელოში მოცემულია ზმნა *<u>ჩამო-მ-ი-ქროლ-ებ-ს,</u>* რომელშიც გამოყოფილია სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიის შესაბამისი ნიშანი. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი მსჯელობაა მართებული?**

ა) ზმნაში გამოყოფილია ქცევის ნიშანი, ობიექტური და სუბიექტური პირის ნიშნები, ფუძე, თემის ნიშანი და ზმნისწინი;

ბ) ზმნაში გამოყოფილია თემის ნიშანი და ზმნისწინი, სავრცობი, ძირი, ობიექტური და სუბიექტური პირის ნიშნები;

გ) ზმნაში გამოყოფილია ზმნისწინი, ქცევისა და მწკრივის ნიშნები, ობიექტური პირის ნიშანი, ფუძე, კონტაქტის ნიშანი;

დ) ზმნაში გამოყოფილია ქცევის ნიშანი, სუბიექტური პირის ნიშნები, ფუძე, კონტაქტის ნიშანი და ზმნისწინი.

(1) **4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებას შეესაბამება შემდეგი აღწერილობა: რთული წინადადება, რომელიც შედგება მთავარი და დამატებით დამოკიდებული წინადადებებისაგან.**

ა) დილიდანვე აშკარა იყო, რომ გიორგის შთაბეჭდილებებით დატვირთული დღე ექნებოდა.

ბ) მივაგენით წერილს, რომელსაც ამდენ ხანს ვეძებდით.

გ) მალევე მივხვდი, რომ ბურთს არავინ დამიბრუნებდა.

დ) ნისლმა ისე დაბინდა ყველაფერი, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდი.

(1) **5. ჩამოთვლილთაგან რომელშია მართებულად გამოყენებული წევრ-კავშირი?**

ა) თვალი მოვკარი იმას, რომელიც მოსვენებას არ მაძლევდა.

ბ) მივადექით სახლს, სადაც ცნობილი ბუკინისტი ცხოვრობდა.

გ) ისეთი შეხვედრა არ გამოუვიდა, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა.

დ) გამოიხურეს იმ ოთახის კარი, რომელშიც სნეული იწვა.

(1) **6.** მოცემულია წინადადება: *<u>დედამ ზაზას ახალი საათი აჩუქა.</u>*

ჩამოთვლილთაგან რომელი *<u>არ წარმოადგენს</u>* სინტაგმას / სინტაქსურ წყვილს?

ა) დედამ აჩუქა

ბ) საათი აჩუქა

გ) ზაზას აჩუქა

დ) ახალი აჩუქა

(1) **7. დაადგინეთ შესაბამისობა წარმოდგენილ სტროფებსა და გარითმვის ტიპებს შორის. პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში სტროფების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ შესაბამისი ნომერი. გაითვალისწინეთ, ზოგიერთი პასუხი (გარითმვის ტიპი) მეორდება.**

ა) „ვინ დამიბედა გზები პოეტის,
ვინ გამამზადა საბედისწეროდ!
ნუთუ ამ ქვეყნად მისთვის მოვედი,
რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო!“

ბ) „...და თუ არა ხარ ის, ვისაც ვფიქრობ,
მე დღეს არ ვნაღვლობ, დაე, ვცდებოდე!
ავადმყოფ გულს სურს, რომ მას ოცნების
თეთრ ანგელოსად ევლინებოდე.“

გ) „პოეზიიდან შორს გავტყორცნე სიტყვა თარსული,
ყოველთვის მელის მშვენიერი ქალთა კრებული,
მხოლოდ უალდის ყელსახვევით გაკვირვებული,
მათრობს ხაშხაშის სურნელება ძველი სპარსული.“

დ) „ერთხელ გამკობდა მეუფე და ბედის მჭედელი,
რაინდ-მებაღეს გამშვენებდა ოქრო რჩეული,
სისხლით შეჭღებე შენი სტავრა და ფარჩეული,
ცრემლი გდენია სევდის ჯამში დაუწყვედელი...“

1. ინტერვალიანი რითმა
2. რკალური რითმა
3. ჯვარედინი რითმა

(1) **8.** დაწერეთ ორი წინადადება, რომლებშიც გამოიყენებთ ნაცვალსახელს *ის*:

პირველ წინადადებაში *ის* პირის ნაცვალსახელი უნდა იყოს, მეორე წინადადებაში კი – ჩვენებითი.

(2) **9. იპოვეთ მოცემულ წინადადებაში დაშვებული შეცდომა და განმარტეთ, რა უნდა ვიცოდეთ, რომ არ დავუშვათ ანალოგიური შეცდომა.**

ვიქტორინის გამარჯვებულები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტებია.

(8) **10. ქვემოთ მოცემულ წინადადებებში დაშვებულია რამდენიმე მორფოლოგიური თუ სინტაქსური შეცდომა. ამოიწერეთ შეცდომები, მიუთითეთ სწორი ფორმები და განმარტეთ, რის ცოდნაა საჭირო, რომ ანალოგიური შეცდომები არ დავუშვათ.**

გაითვალისწინეთ, რომ სწორად დაწერილი სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში დაგაკლდებათ ქულა.

1. სამწუხაროდ, ძალიან ძნელდება იმ ადამიანებისათვის ხმის მიწვდენა, ვისაც ინფორმაცია ყველაზე მეტად სჭირდება.
2. მწერალი უახლესი კვლევის მიგნებებს თავის უკანასკნელ თხზულებაში საინტერესოდ ავითარებს.
3. სწრაფი ნაბიჯით მივიდა მწყრის ბუდესთან და ფრთხილად ამოსვა პაწაწინა, ჯერ კიდევ შეუბუმბლავი ბარტყები.
4. სოციალურ პროექტში ჩართულ ახალგაზრდებს მხარდაჭერა შესთავაზა არასამთავრობო ორგანიზაციამ.
5. ჩვენს წინაშე წარმოდგენილი არტეფაქტი მნიშვნელოვანი სამუზეუმო ექსპონატია.
6. სამეცნიერო კონფერენციაზე წარდგენილმა კვლევამ ავსტრიელ პროფესორს დიდი წარმატება მოუტანა.
7. სიცივისგან აკანკალებული მართა მჭიდროდ მიკვროდა მხარზე თავის უფროს დას.
8. დღეობის აღსანიშნად წითელი ბევრი ბუშტი მოეტანათ და დარბაზის შუაგულში ერთ ადგილას დაეწყოთ.
9. საოცრად ემოციური სანახავი იყო ემიგრანტი დედის შვილთან შეხვედრა ათწლიანი განშორების შემდეგ.
10. თოფმომარჯვებული მონადირე ნელ-ნელა დაეშვა საცალფეხო ბილიკზე და კლდეს მოეფარა.

(1) **11. ჩამოთვლილთაგან რომელი იძენს მხატვრულ შემოქმედებაში აზრის გაძლიერებისა და ექსპრესიის გამოხატვის ფუნქციას?**

ა) არქაიზმი

ბ) გრადაცია

გ) ნეოლოგიზმი

დ) ალეგორია

(1) **12. იუმორსა და სატირასთან დაკავშირებული ფორმებიდან რომელი *<u>არ გულისხმობს</u>* სასცენო შესრულებას?**

I. სკეტჩი

II. ფელეტონი

III. კარიკატურა

IV. პაროდია

ა) მხოლოდ II და III;

ბ) მხოლოდ I და II;

გ) მხოლოდ III და IV;

დ) მხოლოდ I და IV.

(1) **13. ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაშია გამოტოვებული სასვენი ნიშანი?**

XX საუკუნის დასაწყისში(**1**) მეცნიერება ახალ საფეხურზე გადაიყვანა პოლონელ-ფრანგმა ფიზიკოსმა და ქიმიკოსმა მარია სკლოდოვსკა-კიურიმ. მან 1891 წელს სორბონის უნივერსიტეტში(**2**) როგორც ფიზიკის(**3**) ისე მათემატიკის შესწავლას მიჰყო ხელი. 1895 წელს მარია ფიზიკოს(**4**) პიერ კიურის გაჰყვა ცოლად(**5**) რომელთან ერთადაც რადიოაქტივობის ფენომენის კვლევა დაიწყო. იგი თანამშრომლობდა(**6**) ჰენრი ბეკერელთან(**7**) ანდრე დებიერნსა და ერნსტ რუტერფორდთან.

ა) 1, 6, 7;

ბ) 2, 3, 5;

გ) 3, 5, 7;

დ) 3, 5, 6.

(1) **14. სტატიაში ვკითხულობთ: „** *<u>რაც უფრო ემოციურ-ესთეტიკურია სიტყვა თუ შესიტყვება, მით უფრო კარგავს საგნობრივ წარმოდგენას და მისი ძირითადი მნიშვნელობა რამდენადმე ფერმკრთალდება.“</u>*

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი *<u>არ წარმოადგენს</u>* ზემოაღნიშნული მსჯელობის საილუსტრაციო ნიმუშს?

ა) „უკან მოსდევდა თვალზე ცრემლით, ფეხზე ბორკილით, ჩამოფხრეწილი ემოსა ძაძა...“

ბ) „სიცოცხლის სადგურში სიკვდილს ველოდები, დრო გადის სიცილსა და მასხრობაში...“

გ) „...ფოთლები სწყდება იმ გატაცებას და შემოდგომის მეფობს იარა.“

დ) „...მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...“

15. წაიკითხეთ ანა გავალდას მოთხრობის, „35 კილო იმედი“, ადაპტირებული ვერსია და შეასრულეთ 15.1. – 15.7. დავალებები:

ვერ ვიტან სკოლას. გამიმწარა ცხოვრება. ახლა ცამეტი წლის ვარ და მეექვსე კლასში ვსწავლობ. ვივაჟკაცე და ორჯერ დავრჩი ერთსა და იმავე კლასში. ნეტა ვინმეს თუ უყვარს სკოლა? რამდენია ჩემსავით წყალწაღებული მოსწავლე, რომლებსაც ქრონიკული მუცლის ტკივილი აწუხებთ?! ყოველ დილით გული ისე მერევა, თითქოს ჩემს ოთახში კი არა, გემზე ვიყო გაშლილ ზღვაში. ჩემს მუცელში ტკივილის ბურთი გაქრობას ოთხი საათიდან იწყებს და საბოლოოდ მაშინ ქრება, როდესაც სახლის კარს შევაღებ. ჩემი მშობლების სამსახურიდან დაბრუნების დროს ტკივილი თავიდან წამოყოფს ხოლმე თავს. სახლის ზღურბლს გადმოაბიჯებენ თუ არა, ნიშნების გადასამოწმებლად დღიურში მიძვრებიან.

ჩემს მშობლებს ერთმანეთი აღარ უყვართ. რადგან ჩხუბის წამოსაწყებად მიზეზია საჭირო, ხშირად ამ მიზნით მე და ჩემს ნიშნებს გვიყენებენ. ასეთ შემთხვევაში ჩხირკედელაობას ვიწყებ, ლეგოთი კოსმოსურ ხომალდს ვაგებ ან გიგანტურ პირამიდას... ფიზკულტურის გაკვეთილიც კი არ მიყვარს. დაბალი ვარ, სუსტი და გაწრიპული. იმ დღეს სპორტული ფორმა სახლში დამრჩა. სპორტული შარვალი და კედები მეგობრის უფროსმა ძმამ მათხოვა. ვცურავდი XXL ზომის ტანსაცმელში. პირველი ყირა კატასტროფულად ცუდად გამომივიდა და ცალი ფეხსაცმელიც გამძვრა. წამოდგომისას შარვალი ცოტა ჩამძვრა. ბავშვები სიცილით დაიხოცნენ.

მალე სკოლიდანაც გამრიცხეს. სახლში რომ მივედი, დედა და მამა ერთად ყვიროდნენ. ჩემს ოთახში ჩავიკეტე და იმ საღამოს დიდი ურჩხული გამოვძერწე, დირექტორის სახელი, ბერლურონი, დავარქვი და ბოლოს გემრიელად ავკუწე. ერთადერთი, ვინც ამ მძიმე პერიოდში გვერდით დამიდგა და მანუგეშა, ბაბუა იყო. რაც წამოვიზარდე, ხშირად მივდიოდი ხელსაწყოებით სავსე მის ფარდულში. ბაბუა ჩემსავით ჩხირკედელაა.

ისეთი ნიშნების ფურცელი მქონდა, რომ არც ერთ კოლეჯს არ უნდოდა ჩემი მიღება.

– მე მხოლოდ იქ თუ წავალ, – მოულოდნელად ვთქვი. დედას ბუკლეტი გავუწოდე. მასზე გამოსახული იყო მოსწავლეების მიერ შექმნილი ნაძერწი ფიგურები, სხვადასხვაგვარი კონსტრუქციები... – ეს არის გრანშამის ტექნიკური კოლეჯი, თუმცა არაფერი გამოვა, მოსწავლეებს ნიშნების მიხედვით არჩევენ.

ბაბუამ დამსვა და მითხრა, რომ სამოტივაციო წერილი უნდა მიმეწერა გრანშამის კოლეჯის დირექტორისთვის. შეცდომებს არ მიაქციო ყურადღება, ის დაწერე, რაც გულში გაქვსო.

ცხოვრებაში არ მიჯღაბნია ამდენი. ბოლოს მოკლე წერილი გამომივიდა:

„ბატონო გრანშამის სკოლის დირექტორო,

ძალიან მინდა, თქვენი სკოლის მოსწავლე გავხდე, მაგრამ ვიცი რო ამის შანსი არა მაქვს რადგან ძალიან ცუდი ნიშნების ფურცელი მაქვს. მგონია რო თქვენ სკოლას უნდა ქონდეს საამქროები, ხის სახელოსნოები, ინფორმატიკის კაბინეტები, სათბური და ა. შ. მე ვფიქრობ რო ცხოვრებაში ნიშნები ბევრს არაფერს ნიშნავს. ჩემი აზრით გრანშამში ვიქნები ყველაზე ბედნიერი. არც დიდი ვარ, არც ძლიერი. მხოლოდ 35 კილო იმედს ვიწონი.

გრეგუარ დიუბოსკი

P.S. ცხოვრებაში პირველად ვიხვეწები ასე სკოლაში წასვლას.

P.S. გიგზავნით ბანანის გასაფცქვნელი ხელსაწყოს გეგმას. 7 წლის ვიყავი რო გამოვიგონე.“

წერილი გადავაგზავნე.

გრანშამში მიმიღეს. კლასში საუკეთესო მოსწავლე ვერ გავხდი, მაგრამ ყველას ვუყვარდი. სახვით ხელოვნებასა და ხელმარჯვეობაში კი ბადალი არ მყავდა. ზოგჯერ მასწავლებელიც კი რჩევას მეკითხებოდა. ჩემი სუსტი წერტილი ისევ სპორტის გაკვეთილი იყო. არაფერი გამომდიოდა. ერთ დღეს კვანძებიან თოკზე აცოცება დაგვავალეს. მესამე კვანძზე ასვლის შემდეგ ძალა გამომეცალა. მეოთხე კვანძი, მეხუთე... ნელ-ნელა დავიწყე ხელის გაშვება. ბავშვები თვალს არ მაშორებდნენ. ერთ-ერთმა წამოიძახა:

– მიდი, დიუბოსკ, მიდი!

კიდევ ერთხელ მოვიკრიბე ძალა, ხელებზე ცეცხლი მეკიდა.

– დიუბოსკ! დიუბოსკ! დიუბოსკ! – ყვიროდნენ ბავშვები.

მეშვიდე კვანძზე შევჩერდი. ქვემოთ სიმღერა დაიწყეს, რომლითაც ერთ-ერთი ანიმაციური ფილმი იწყებოდა. ორი კვანძიღა მრჩებოდა. სახსრებს ვეღარ ვგრძნობდი.

– მიდი! მიდიი! მიდიიი! – ბავშვებმა ბოლომდე აიწყვიტეს. ყველაზე ხმამაღლა მასწავლებელი ღრიალებდა. ბოძის წვერს ჩავეჭიდე. ქვემოთ რაც ხდებოდა, სრული სიგიჟე იყო. მე ცრემლები ვერ შევიკავე, ცრემლები, რომლებიც ერთდროულად სიხარულმაც გამოიწვია და ტკივილმაც. ჩამოვსრიალდი, უფრო სწორად, თითქმის ჩამოვვარდი. ბავშვებმა დამიჭირეს და ჰაერში ამაგდეს. ყველა ჩემი საყვარელი ანიმაციური ფილმის საუნდტრეკს მღეროდა.

ყურადღებით წაიკითხეთ 15.1 – 15.5 დავალებების პირობები. თქვენი აზრი წარმოადგინეთ ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად ჩამოყალიბებული და სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით გამართული.

(2) **15.1.** I აბზაცში გვხვდება მეტაფორა: **„გემი გაშლილ ზღვაში“**. აუხსენით ეს მხატვრული სახე VI კლასის მოსწავლეებს; იმსჯელეთ, რაზე მიგვანიშნებს მწერალი ამ მეტაფორით.

(2) **15.2.** აირჩიეთ მოთხრობიდან ორი ეპიზოდი, რომლებშიც ბიჭისთვის მხარდაჭერის ფაქტია აღწერილი. გააანალიზეთ, რა როლი შეასრულა ამ შემთხვევებმა ბიჭის ცხოვრებაში.

(2) **15.3.** იმსჯელეთ გრანშამის კოლეჯში არსებული სასწავლო-სააღმზრდელო გარემოს შესახებ. როგორ აისახება კოლეჯში დამკვიდრებული მიდგომა მოსწავლეებზე.

(2) **15.4.** იმსჯელეთ, რა დანიშნულება აქვს წერილის ეპიზოდს გრეგუარის მხატვრული სახის გააზრებისთვის.

(2) **15.5.** იმსჯელეთ, რა უშლის ხელს გრეგუარს, საზოგადოებაში დაიმკვიდროს თავი. ახსენით, როგორ უმკლავდება ბიჭი ამ გამოწვევას.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22

გაიაზრეთ 15.6. – 15.7. დავალებების პირობები და თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

(1) **15.6. სკოლიდან რომ გარიცხეს, იმ საღამოს გრეგუარმა ურჩხული გამოძერწა. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი აფასებს ამ ფაქტს ყველაზე მართებულად?**

ა) სკოლიდან გარიცხვა ბიჭისთვის იყო სტრესი; მას ძერწვა კარგად გამოსდიოდა და უნდოდა, სტრესი დაევიწყებინა და სასიამოვნო საქმით დაკავებულიყო; როცა უჭირდა, ამ გზას ხშირად მიმართავდა;

ბ) ბიჭი ძალიან ჭკვიანი იყო, მაგრამ მან ვერ შეძლო, გაენეიტრალებინა ბრაზი და საკუთარი ნაკეთობის დახვეწაზე გადაეტანა ყურადღება; სტრესმა ხელი შეუშალა, პასუხი გაეცა დირექტორისთვის;

გ) ბიჭმა ბრაზი გადაიტანა უფრო უსაფრთხო ობიექტზე, ნაძერწ ფიგურაზე, დირექტორის გამოსახულებაზე, რამაც გაუნელა ემოცია; შემოქმედებითი თვითგამოხატვა დაეხმარა მას აგრესიის დაძლევაში;

დ) ბიჭმა აგრესია მიმართა თავისი ნაძერწისკენ და დირექტორის ფიგურა გაანადგურა. ეს იყო გააზრებული ქმედება; შურისძიებამ ერთგვარი სიმშვიდე მოჰგვარა და დადებითი ემოციები გამოიწვია მასში.

(1) **15.7. ქვემოთ წარმოდგენილია სამი სხვადასხვაგვარი მსჯელობა. მათგან რომელი ხსნის მართებულად მეტაფორას – *„35 კილო იმედი"?***

I. გრეგუარი ხვდება, რომ ტექნიკური კოლეჯი ერთადერთი სასწავლებელია, სადაც შეძლებს თვითგამოხატვას; კოლეჯიც დიდ იმედს ამყარებს მის შესაძლებლობებზე;

II. ბიჭი ადეკვატურად აფასებდა საკუთარ შესაძლებლობებს და დიდი იმედი ჰქონდა, რომ ტექნიკურ კოლეჯშიც დაინახავდნენ მის შემოქმედებით პოტენციალს;

III. თითქმის უიმედოდ დარჩენილი ბიჭი საკუთარ თავში პოულობს ძალას, რომ იბრძოლოს გადარჩენისთვის; „გაწრიპული" ბიჭი ერთ მთლიან დიდ იმედად იქცა.

ა) მხოლოდ I

ბ) I და II

გ) II და III

დ) მხოლოდ III

16. წაიკითხეთ ილია ჭავჭავაძისა და გალაკტიონ ტაბიძის ლექსები და შეასრულეთ 16.1. – 16.3. დავალებები:

ბევრი ვიტანჯე

ბევრი ვიტანჯე, ვიცი, რომ მელის
ბევრიც სხვა ტანჯვა მომავალშია,
მაგრამ ეს არ არს მიზეზი ცრემლის,
რომელიც მარად თრთის ჩემს თვალშია.
ყველას გავუძლებ: სასტიკ ტანჯვასაც,
ჩემ საყვარელთა იმედთ დანთქმასაც,
თვით სიყვარულის ფიცისა ღალატს
და თვით ჩემ ბედსაც, ამ უგრძნო ჯალათს...
ყველას გავუძლებ, როგორც კლდე ქვისა,
ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება?!
ხოლო ჩემ თავის არაფრობისა
არ ძალმიძს, ძმანო, ვერ რით გაძლება!

ნეაპოლში

სიკვდილს მე როდი შევუშინდები,
იგი, ძმა, მუდამ ჩვენს მხარეზეა.
მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის,
სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია.
აქ გაზაფხული არავის ჰკოცნის,
არც ეს მაისი, არც პოეზია.
მაშ, გაუმარჯოს იმგვარ სიცოცხლეს,
სიცოცხლეზე რომ უტკბოესია!

(1) **16.1.** გაიაზრეთ გალაკტიონის სიტყვები: **„აქ გაზაფხული არავის ჰკოცნის“.** განმარტეთ ეს მხატვრული სახე.
(2) **16.2.** იმსჯელეთ, რა საერთო პრობლემა იკვეთება ილიასა და გალაკტიონის ამ ლექსებში; რა არის მათი შიშის საფუძველი?
(2) **16.3.** იმსჯელეთ, როგორ გაუმკლავდა ლექსებში გამოკვეთილ პრობლემას ილია ჭავჭავაძე; მოიყვანეთ ლიტერატურიდან პარალელი, რომელიც ამავე პრობლემას ეხება და დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.

აკადემიური უნარები

წაკითხულის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

I უთანასწორობა განათლებაში გულისხმობს იმ განსხვავებებს, რომლებიც არსებობს სხვადასხვა ჯგუფს შორის საგანმანათლებლო შესაძლებლობების, რესურსებისა და, შესაბამისად, შედეგების მხრივ. უთანასწორობა შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა მიმართულებით, რაც დამოკიდებულია ეკონომიკურ, სოციალურ, გენდერულ, ეთნიკურ თუ სხვა ფაქტორებზე. მაგალითად, დაბალშემოსავლიანი ოჯახების ბავშვებს განათლებისთვის ხშირად ნაკლები შესაძლებლობები აქვთ, როგორებიცაა: კარგი სკოლების, მასწავლებლების, ტექნოლოგიებისა და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. ამის გამო მათ შეიძლება გაუჭირდეთ წარმატების მიღწევა. ასევე, ზოგიერთ კულტურაში გოგონებს განათლების მიღების შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ, რასაც განაპირობებს კონსერვატიული მოლოდინები და სტერეოტიპული წარმოდგენები ქალის როლთან დაკავშირებით საზოგადოებაში.

II განათლების უთანასწორობა უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანური კაპიტალის ინდექსთან. ეს უკანასკნელი არის მაჩვენებელი, რომელიც ასახავს ქვეყნის მოსახლეობის განათლებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის ხარისხის შეფასებას. თუ ქვეყნის მოსახლეობა ხარისხიან განათლებასა და ჯანმრთელობის სერვისს იღებს, მისი ,,ადამიანური კაპიტალი“ მაღალია, რაც ნიშნავს, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეებს შესაძლებლობების რეალიზაციისთვის კარგი პირობები აქვთ, ეს კი, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის სიძლიერეს განაპირობებს.

III არსებობს რწმენა, რომ თუ საკმარისად იშრომებ, აუცილებლად მიაღწევ ყველა მიზანს. მიღწევა არის უნარების, მოტივაციისა და შრომის შედეგი და, შესაბამისად, სოციალური წარმომავლობისაგან დამოუკიდებელი. თუმცა, ბავშვები დაბალი სოციოეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებიდან ხშირად უთანასწორო პირობების გამო ვერ ავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს. დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახები ბავშვების განათლებაში ხშირად ვერ დებენ მაღალ ინვესტიციას, რაც განაპირობებს დაბალი ხარისხის განათლებას და, შესაბამისად, ამ მოსწავლეების მცირე შესაძლებლობებს სამუშაო ბაზარზე. ეს ქმნის უთანასწორობას, რომელიც ჩაკეტილ წრედ აქცევს სოციოეკონომიკურად დასუსტებულ ჯგუფებს, რადგან მათ უფრო ნაკლები შანსი აქვთ, განათლების მაღალი დონე ჰქონდეთ.

შეკითხვებზე გადასვლა: 17 18 19 20 21

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22

IV განათლების უთანასწორობის საკითხით დაინტერესებულმა ფრანგმა მკვლევარმა სებასტიენ გუდომ განსხვავებულ ასპექტზე გაამახვილა ყურადღება. მისი კვლევის შედეგების მიხედვით, უთანასწორობა ადრეული ასაკიდან იწყება. სოციალური კლასი გავლენას ახდენს იმაზე, თუ რა წვლილი შეაქვს ბავშვს გაკვეთილის მსვლელობის დროს, ასევე, იმაზეც, თუ როგორ აფასებენ ბავშვები საკუთარ თავსა და სხვებს. აღმოჩნდა, რომ ბავშვები დაბალი სოციალური კლასის ოჯახებიდან ნაკლებად არიან ჩართულები ჯგუფურ დისკუსიებში, ვიდრე მათი თანატოლები, რომლებიც შედარებით მაღალი სოციალური კლასიდან არიან. მნიშვნელოვანია, რომ ეს მოცემულობა არ აიხსნება ბავშვებს შორის ენობრივი კომპეტენციის ან თვითგამოხატვის უნარის დეფიციტით. ის ნორმები, რომლებიც დაბალი სოციალური კლასის ოჯახებისთვის ჩვეულია, ეწინააღმდეგება იმ ნორმებს, რომლებიც სკოლაშია გავრცელებული. მათი თვითგამოხატვის ფორმები და კულტურული გამოცდილებები ნაკლებად არის დაფასებული საკლასო ოთახში. ბავშვები ადარებენ საკუთარ თავს სხვებს, აღმოაჩენენ განსხვავებებს, სახლსა და სკოლას შორის კულტურულ შეუსაბამობებს, მათ მიმართ უარყოფით მოლოდინებს, რაც აძლიერებს სხვების მხრიდან განსჯის შიშს და, შესაბამისად, თავს არიდებენ თვითგამოხატვას.

V უთანასწორო სასწავლო გარემო, რომელიც განათლების ადრეულ ეტაპზე იქმნება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია მიღწევათა სხვაობებისთვის მთელი საგანმანათლებლო პროცესის განმავლობაში.

შეკითხვებზე გადასვლა: 17 18 19 20 21

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22

(1) **17.** განათლებაში უთანასწორობის რომელი ორი მიზეზის ილუსტრაციაა პირველ აბზაცში მოცემული მაგალითები?

ა) ეკონომიკურისა და ეთნიკურის;

ბ) ეთნიკურისა და გენდერულის;

გ) ეკონომიკურისა და გენდერულის;

დ) სოციალურისა და ეთნიკურის.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22

(1) **18.** ჩამოთვლილთაგან რომელშია მართებულად წარმოდგენილი კავშირი განათლების უთანასწორობასა და ადამიანური კაპიტალის ინდექსს შორის?

ა) მაღალშემოსავლიან ქვეყნებს ერთმნიშვნელოვნად ხელმისაწვდომი განათლება და ადამიანური კაპიტალის მაღალი ინდექსი აქვთ;

ბ) თუკი ქვეყანას ადამიანური კაპიტალის მაღალი ინდექსი აქვს, ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს ამ ქვეყანაში ადამიანი, რომელმაც დაბალი ხარისხის განათლება მიიღო;

გ) ადამიანების დაბალი ხარისხის განათლებას სიღარიბე განაპირობებს, თუმცა შესაძლებელია ამ მიზეზის კომპენსაცია ხარისხიანი ჯანდაცვით, შესაბამისად, ადამიანური კაპიტალი არ დაზარალდება;

დ) თუკი ადამიანებს განსხვავებული პირობები აქვთ განათლების მიღებისას, მათი შესაძლებლობები ნაკლებად განვითარდება და, შესაბამისად, ქვეყანაში ადამიანური კაპიტალი დაზარალდება.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22

(1) **19.** ტექსტის მესამე აბზაცში ვკითხულობთ: ,,მიღწევა არის უნარების, მოტივაციისა და შრომის შედეგი.“ ჩამოთვლილთაგან რომელი **<u>აყენებს ეჭვქვეშ</u>** ამ მოსაზრებას?

ა) მოსწავლეები, რომლებიც სისტემატურად აცდენენ სკოლას, ვერ აღწევენ აკადემიურ წარმატებას;

ბ) მოსწავლეთა უმეტესობას, რომელთა მშობლიური ენა არ ემთხვევა სკოლის სწავლების ენას, არ აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება;

გ) მოსწავლეები, რომლებსაც არ აქვთ დავალებების სისტემატურად შესრულების ჩვევა ჩამოყალიბებული, ვერ აღწევენ აკადემიურ წარმატებას;

დ) მოსწავლეთა უმეტესობა, რომელთაც არ აქვთ მოთმინების უნარი სათანადოდ განვითარებული, ვერ აღწევს აკადემიურ წარმატებას.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22

(1) **20.** ტექსტის მეოთხე აბზაცში წარმოდგენილია კვლევის შედეგები. ჩამოთვლილთაგან რომელია ამ შედეგებზე დაყრდნობით გამოტანილი მართებული დასკვნა?

ა) სასწავლო გარემოში საკუთარი განსხვავებულობის აღქმა და მხარდაჭერის ნაკლებობა უარყოფითად აისახება ბავშვების თვითშეფასებაზე, რაც ბარიერს წარმოადგენს მათი შესაძლებლობების რეალიზებისთვის;

ბ) ენობრივი კომპეტენციისა და თვითგამოხატვის უნარის მიხედვით ბავშვებს შორის არსებული განსხვავებები განაპირობებს სასწავლო აქტივობებში მათი ჩართულობის ხარისხს, რაც, შესაბამისად, ბარიერს ქმნის განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით;

გ) სოციალური კლასის მიხედვით ბავშვებს შორის განსხვავებები მათი კულტურული გამოცდილების ნაირგვარობით აიხსნება, რაც უთანასწორო სასწავლო გარემოს ქმნის;

დ) სასწავლო გარემოსთან ბავშვების ადაპტაციისთვის მათი თვითშეფასება ბარიერი ვერ იქნება, სკოლაში უთანასწორო საგანმანათლებლო გარემოს ყველა ბავშვისთვის დადგენილი ერთნაირი ნორმები ქმნის.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22

(1) **21.** ჩამოთვლილთაგან რომელი **<u>არ არის</u>** მოცემული ტექსტის მიზანი?

ა) გაგვაცნოს განათლების უთანასწორობის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზი;

ბ) გამოკვეთოს განათლებაში უთანასწორობასა და ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს შორის კავშირის მნიშვნელობა;

გ) ახსნას, თუ როგორ, რა გზით ახდენს გავლენას ესა თუ ის ფაქტორი განათლების უთანასწორობაზე;

დ) თანამედროვე კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დასახოს განათლების უთანასწორობის აღმოფხვრის გზები.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22

(9) **22. ანალიტიკური წერა**

ყურადღებით გაეცანით დავალებაში მოცემულ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებას. გააკეთეთ არჩევანი ერთ-ერთის სასარგებლოდ. მოიყვანეთ არგუმენტები თქვენი არჩევანის დასასაბუთებლად და კრიტიკულად შეაფასეთ საკითხის გადაჭრის მეორე შესაძლო გზა.

ა) ბავშვს სკოლაში მეტი თავისუფლება და ავტონომია უნდა მივცეთ, რათა განვითარდეს დამოუკიდებელ და მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებად.

ბ) სკოლაში ბავშვის თავისუფლების ხარისხი მკაცრად უნდა გაკონტროლდეს, რადგან იგი სრულად ვერ იაზრებს საკუთარი მოქმედებების შედეგებს და ამით ვნებს საკუთარ თავსაც და სხვასაც.

თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 120 სიტყვას.